საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

მინისტრის ბრძანება №3/256

2006 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანდართული დებულება.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 17 მარტის №3/107 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“;

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. გაბაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (შემდეგში – ეროვნული კინოცენტრი) არის „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ეროვნული კინოცენტრი თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა შესაბამისი კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით.

3. ეროვნულ კინოცენტრს აქვს სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობით გადაცემული ქონება, რომელსაც იგი თავისი მიზნების მისაღწევად მოიხმარს და განკარგავს დანიშნულებისამებრ, ამასთან პასუხისმგებელია ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

4. ეროვნულ კინოცენტრს უფლება აქვს, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, იკისროს ვალდებულებები.

5. ეროვნულ კინოცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები, მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, ლოგო, ასევე იურიდიული პირის ყველა სხვა რეკვიზიტები.

6. ეროვნული კინოცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0105 ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო № 4 .

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 27 აპრილის ბრძანება №3/93 - სსმ III, № 62,07.05.2007 , მუხ.706

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №3/72 - ვებგვერდი, 12.04.11

მუხლი 2. ეროვნული კინოცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ეროვნული კინოცენტრი ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას კინოს სფეროში.

2.ეროვნული კინოცენტრის მიზანია ქართული კინემატოგრაფიის არსებობისა და განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა და კოორდიანცია, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმების წარმოებისა და გავრცელებისათვის ხელშეწყობა, მსოფლიო კინოპროცესებში ქართული კინოს ინტეგრაცია.

3. ეროვნული კინოცენტრის ამოცანებია:

ა) შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნისა და სრულყოფისათვის წინადადებების შემუშავება;

ბ) კინოს განვითარებისათვის სამეცნიერო, საინფორმაციო, საწარმოო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;

გ) ეროვნული კინოპროდუქციის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა;

დ) ქართული კინოს დაცვისა და განვითარების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების რეალიზაცია;

ე) კინოს ინფრასტრუქტურისა და კინოქსელის განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

ე[1]) ფილმების გაქირავებისა და ჩვენებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

ვ) კინემატოგრაფიაში ერთიანი საინფორმაციო-სააღრიცხვო სისტემის დანერგვა-ამოქმედება;

ზ) საქართველოს ეროვნული კინოარქივის შექმნა;

თ) ეროვნული ფილმის დებულების შემუშავება და დამტკიცება;

ი) კინოგანათლებისა და კინომცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა;

კ) შემოქმედებითი და საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადებისათვის ხელშეწყობა;

ლ) კინოს დარგში საერთაშორისო კავშირების განვითარება, საერთაშორისო კინოორგანიზაციებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

მ) კინოფესტივალებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების, აგრეთვე საერთაშორისო კინოფესიტივალებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №05/21 - ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 3. ეროვნული კინოცენტრის უფლებები და მოვალეობები

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა.

2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეროვნულ კინოცენტრს უფლება აქვს:

ა) მოამზადოს საკანონმდებლო წინადადებები, შეიმუშაოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები კინოს სფეროში და წარუდგინოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო);

ბ) მოამზადოს ქართული კინოს დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამები, კოორდინაცია გაუწიოს და მონაწილეობა მიიღოს მათ განხორციელებაში;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოამზადოს და წარადგინოს სათანადო წინადადებები კინემატოგრაფიისათვის გამოსაყოფი ასიგნებების ნაწილში;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მართოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსები, გაანაწილოს შესაბამისი თანხები კონკურსში გამარჯვებული ეროვნული ფილმების წარმოებისა და გაქირავების დაფინანსების მიზნით;

ე) განახორციელოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ფინანსური რესურსების მობილიზება და შესაბამისი პროგრამების დაფინანსება;

ვ) კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით განსაზღვროს საკუთარი სახსრების ხარჯვის კონკრეტული მიმართულებები;

ზ) მოითხოვოს და მიიღოს ხელისუფლების ორგანოებისაგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან თავისი საქმიანობისათვის საჭირო კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ინფორმაცია;

თ) თავის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ორგანოს უკანონო ქმედებათა შეწყვეტის მიზნით;

ი) დაამყაროს ურთიერთობა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, სხვა ორგანიზაციებთან, დადგენილი წესით გააფორმოს მათთან ხელშეკრულებები;

კ) მოამზადოს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროგრამები და კონკრეტული წინადადებანი, განახორციელოს ისინი, საჭიროების შემთხვევაში კი განსახილველად წარუდგინოს სამინისტროს;

ლ) განახორციელოს ღონისძიებები ქართული კინოს ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით და უზრუნველყოს სახელმწიფო მხარდაჭერა;

მ) აღადგინოს და აღნუსხოს ქართული კინომემკვიდრეობა, ჩამოაყალიბოს ფილმების ერთიანი სააღრიცხვო-საინფორმაციო ბანკი და განსაზღვროს მისი ფუნქციონირების წესი;

ნ) გამართოს კონფერენციები, სემინარები, კინოჩვენებები, მოაწყოს ფესტივალები, მათ შორის, საერთაშორისო;

ო) დააწესოს ფულადი და სხვა სახის ჯილდოები ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეთათვის, საერთაშორისო კინოფესტივალებში, კინობაზრობებში, კონფერენციებსა და სემინარებში კინომოღვაწეების მონაწილეობის ხელშეუწყობის მიზნით, გასცეს სამგზავრო თანხა, რომლის გაცემის წესიც განისაზღვრება კინოცენტის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

პ) დადგენილი წესით წარმართოს თავისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, მოამზადოს წინადადებები მათი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა თუ ახალი სტრუქტურების შექმნის შესახებ;

ჟ) კინოს დარგში სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემის დანერგვის მიზნით, შექმნას კინოორგანიზაციების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელშიც აღირიცხება ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი სათანადო წესით რეგისტრირებული ყველა კინოორგანიზაცია;

რ) პროპაგანდა გაუწიოს ქართულ კინოკულტურას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ს) ხელი შეუწყოს კინოს დარგში ცნობარების, ჟურნალებისა და ლიტერატურის გამოცემას, ასევე სემინარების, კინოჩვენებების, კონფერენციებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარებას;

ს[1]) ხელი შეუწყოს კინოს სფეროში მოღვაწე პირთა კვალიფიკაციის ამაღლებას ;

ს[2]) ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შემოიღოს ნომინაციები სხვადასხვა კონკურსებისთვის;

ს[3]) განახორციელოს კინოს სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული კინოცენტრის ფუნქციონირებას;

ს[4]) გამოსცეს პერიოდული გამოცემები;

ს[5]) ხელი შეუწყოს ქართული კინომემკვიდრეობის აღდგენას;

ს[6]) მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო და სხვა ქვეყნების ეროვნულ ან სხვა კინოფესტივალებზე, კონკურსებსა და ჯილდოებზე საქართველოს სახელით წარსადგენი ფილმის/ფილმების შერჩევის შესახებ, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია იქმნება და მისი მუშაობის წესი მტკიცდება კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ს[7]) ხელი შეუწყოს ფილმის დემონსტრატორს კინოდარბაზში ჩვენებისთვის უცხოენოვანი ფილმების საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირებასა ან გახმოვანებაში, რის თაობაზეც ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

ტ) განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ამ დებულებას;

უ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობა (მაგრამ არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე), ამ საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ ამ დებულებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

3. ეროვნული კინოცენტრი ვალდებულია:

ა) რაციონალურად და ოპტიმალურად გამოიყენოს შრომითი და ფინანსური რესურსები;

ბ) თავისი საქმიანობა განახორციელოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 4 ივნისის ბრძანება №3/123 - სსმ III, №81, 05.06 .2008წ , მუხ.869

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №3/182-სმმIII, №106, 27.08.2010წ., მუხ.1644

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №3/72 - ვებგვერდი, 12.04.11

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 16 თებერვლის ბრძანება №05/02 - ვებგვერდი, 17.02.2016წ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 25 თებერვლის ბრძანება №05/05 - ვებგვერდი, 26.02.2016წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №05/16 - ვებგვერდი, 14.09.2022წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №05/21 - ვებგვერდი, 17.10.2022წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 9 ივნისის ბრძანება №05/29 - ვებგვერდი, 09.06.2023წ.

მუხლი 4. ეროვნული კინოცენტრის მართვა

1. ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფუნქციები ეკისრება კინოცენტრის დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე 3 წლის ვადით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი).

2. ეროვნული კინოცენტრის დირექტორს შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დანიშვნის წესი და პირობები.

4. (ამოღებულია - 09.06.2023, №05/29).

5. დირექტორის არყოფნის, მისი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის, გათავისუფლების ან გადადგომის შემთხვევაში, ახალი დირექტორის დანიშვნამდე, დირექტორის მოვალეობას ასრულებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული პირი.

6. დირექტორი წარმოადგენს ეროვნულ კინოცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობებში.

7. დირექტორი, როგორც ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი:

ა) უძღვება ეროვნული კინოცენტრის საქმიანობას და აწესრიგებს იმ საკითხებს, რომლებიც განეკუთვნება ეროვნული კინოცენტრის გამგებლობის სფეროს;

ბ) პასუხისმგებელია ეროვნული კინოცენტრის საქმიანობაზე;

გ) შეიმუშავებს წლიურ ბიუჯეტს და სამუშაო გეგმებს;

დ) ამტკიცებს ეროვნული კინოცენტრის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ე) განსაზღვრავს კომპეტენციათა შიდასტრუქტურულ გადანაწილებას და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლების საქმიანობაზე;

ვ) სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით ამტკიცებს კინოცენტრის საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს;

ვ[1]) სამინისტროს თანხმობით, განსაზღვრავს ეროვნული კინოცენტრის შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზღვრულ ოდენობას;
ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლებს;
თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ეროვნული კინოცენტრის ყველა თანამშრომლისათვის;
ი) მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული კინოცენტრის საექსპერტო კომისიისა და საკონკურსო დებულების პროექტს;
კ) ხელს აწერს ეროვნული კინოცენტრის გადაწყვეტილებებს;
ლ) იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ფესტივალებში ეროვნული ფილმების მონაწილეობის დაფინანსების შესახებ;
მ) მონაწილეობს კინემატოგრაფიის საკითხებზე გამართულ სახელმწიფო, სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ღონისძიებებში;
ნ) საექსპერტო კომისიის დებულების საფუძველზე ქმნის საექსპერტო კომისიას.
8. კინოცენტრის დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც შეესაბამება კინოცენტრის მიზნებს და მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №3/182 -სმმIII, №106, 27.08.2010წ., მუხ.1644

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 მარტის ბრძანება №05/10 - ვებგვერდი, 18.03.2016წ.
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 9 ივნისის ბრძანება №05/29 - ვებგვერდი, 09.06.2023წ.

მუხლი 5. კინოცენტრის სტრუქტურა

1. კინოცენტრის სტრუქტურას ამტკიცებს კინოცენტრის დირექტორი.
2. ეროვნული კინოცენტრის სტრუქტურული ერთეულები თავიანთი საქმიანობის ანგარიშს წარუდგენენ კინოცენტრის დირექტორს.
3. ეროვნულ კინოცენტრთან შემოქმედ მუშაკთა და ექსპერტთა შემადგენლობით იქმნება საექსპერტო კომისია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობისა და საკუთარი დებულების საფუძველზე.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 27 აპრილის ბრძანება №3/93 - სსმ III, № 62,07.05.2007 , მუხ.706

მუხლი 6. ეროვნული კინოცენტრის საქმინობის სახელმწიფო კონტროლი

1. ეროვნული კინოცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.
2. ეროვნულ კინოცენტრს, მხოლოდ სამინისტროს თანხმობით, შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:
ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება;
გ) თავდებობა;
დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;
ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე ეროვნული კინოცენტრის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;
ვ) სხვა გადაწყვეტილებები ეროვნული კინოცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა, ხოლო „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №3/182 -სმმIII, №106, 27.08.2010წ., მუხ.1644

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 16 თებერვლის ბრძანება №05/02 - ვებგვერდი, 17.02.2016წ.
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 9 ივნისის ბრძანება №05/29 - ვებგვერდი, 09.06.2023წ.

მუხლი 7. ეროვნული კინოცენტრის ფინანსები და ქონება, აღრიცხვა და ანგარიშგება

1. ეროვნული კინოცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;
გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;
დ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
ე) შემოწირულობანი და გრანტები;
ვ) ეროვნული კინოცენტრის მიერ მხარდაჭერილი ფილმების დემონსტრაციის შედეგად მიღებული

შემოსავლები;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები ხმარდება მხოლოდ ეროვნული კინოცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, მისი უფლებამოსილებისა და ფუნქციების აღსრულებას.

3. ეროვნული კინოცენტრის ქონებას წარმოადგენს მის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები, დანადგარ-მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება, რომლებიც კინოცენტრს გადაცემული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ეროვნული კინოცენტრის საფინანსო საქმიანობის აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ეროვნული კინოცენტრის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი და ამტკიცებს სამინისტრო.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №3/182 -სმმIII, №106, 27.08.2010წ., მუხ.1644

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 9 ივნისის ბრძანება №05/29 - ვებგვერდი, 09.06.2023წ.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №3/182 -სმმIII, №106, 27.08.2010წ., მუხ.1644

მუხლი 9. კინოცენტრის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია

ეროვნული კინოცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.